ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-03252053-03
თარიღი: 24.07.2025 09:26
ვადა: 25.08.2025

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01252043703 განცხადების თარიღი: 23.07.2025
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

N 25.1234.1420 განკარგულების შესახებ

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-03252053-03
24.07.2025 : 09:26
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01252043703**
თარიღი: **23/07/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ზურაბ აბაშიძეს

ბატონო ზურაბ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე–16 მუხლის მე–4 პუნქტისა და 75-ე მუხლის „ბ.ა“ და „ე.ა“ ქვეპუნქტების საფუძველზე, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პროგრამის „ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი: 04 01) ფარგლებში მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროექტის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს, რომელიც მოწონებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 23 ივლისის N 25.1234.1420 განკარგულებით.

დანართი 01: მთავრობის განკარგულება N 25.1234.1420

დანართი 02: საკრებულოს პროექტი

დანართი 03: განმარტებითი ბარათი

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 25.1234.1420
23 / ივლისი / 2025 წ.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პროგრამის „ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი: 04 01) ფარგლებში მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროექტის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტისა და 75-ე მუხლის „ბ.ა“ და „ე.ა“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პროგრამის „ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი: 04 01) ფარგლებში მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროექტის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ამ განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პროგრამის „ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი: 04 01) ფარგლებში მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროექტის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ანდრია ბასილაიას.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

დანართი

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი: 04 01) ფარგლებში მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროექტის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 20-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.
დამტკიცდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი: 04 01) ფარგლებში მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის განხორციელების წესი“, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

დანართი 1

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი: 04 01) ფარგლებში მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროექტის განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პროგრამის „ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი: 04 01) ფარგლებში მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის განხორციელების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი: 04 01) (შემდგომში - პროგრამა) ფარგლებში მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროექტის განხორციელების პირობებს და პროცედურებს.

2. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ ღონისძიებების დაფინანსებაზე, რომლებიც პროგრამის ფარგლებში ტარდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის (შემდგომში - სამსახური) ორგანიზებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ამ წესის შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ფინანსური მხარდაჭერის განსახორციელებლად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი (შემდგომში - მერი) ქმნის პროექტების განმხილველ კომისიას და კომისიის აპარატს (შემდგომში - კომისია, აპარატი).

4. კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება კომისიის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მერი.

მუხლი 2. თანადაფინანსების მიმღები სუბიექტები

ამ წესით განსაზღვრული თანადაფინანსების მიმღები სუბიექტები არიან მოქმედი მეწარმე იურიდიული ან ფიზიკური პირები, რომელთა ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი) და ფუნქციონირების ადგილი არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი.

მუხლი 3. თანადაფინანსების ობიექტი

პროგრამით თანადაფინანსებას ექვემდებარება, როგორც პროდუქციის დასამზადებლად საჭირო აღჭურვილობა/მანქანა-დანადგარები/ტექნოლოგია, ისე პროდუქციის დამუშავებისა და დამატებული ღირებულების შექმნისთვის საჭირო სხვა კატეგორია.

მუხლი 4. საპროექტო განაცხადის წარდგენა

1. თანადაფინანსების მისაღებად დაინტერესებულმა პირმა, წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური

განვითარების საქალაქო სამსახურს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე პროექტის დაწყების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, რომელსაც თან დაურთავს სრულყოფილად შევსებულ საპროექტო განაცხადს. განაცხადს, აგრეთვე უნდა დაურთოს სამსახურის უფროსის მიერ განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტაცია. სხვა შემთხვევაში საპროექტო განაცხადი არ განიხილება.

2. საპროექტო განაცხადის ფორმას და თანდართული დოკუმენტაციის ნუსხას განსაზღვრავს სამსახურის უფროსი.

3. აპარატი ამოწმებს საპროექტო განაცხადის შესაბამისობას დადგენილ ფორმასა და ამ წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. შეუსაბამობის ან დოკუმენტაციის არასრულად წარდგენის შემთხვევაში, აპარატი მიმართავს სამსახურს. დადგენილი ხარვეზის გამოსასწორებლად დაინტერესებულ სუბიექტს სამსახურის მიერ განესაზღვრება არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღე.

4. სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში საპროექტო განაცხადი არ განიხილება.

5. კომისიას/აპარატს ნებისმიერ ეტაპზე უფლება აქვს მოითხოვოს წარმოდგენილი დოკუმენტაციის დაზუსტება და აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება.

6. კომისია უფლებამოსილია განიხილოს დაინტერესებული პირის მიერ ამ მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებში დადგენილი ვადის დარღვევით წარმოდგენილი განცხადება გამონაკლისის სახით იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის საფუძველზე კომისია მიზანშეწონილად ჩათვლის აღნიშნული პროექტის განხილვას.

მუხლი 5. საპროექტო განაცხადის განხილვა და თანადაფინანსება

1. თუ წარდგენილი საპროექტო განაცხადი აკმაყოფილებს ამ წესითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, აპარატი საპროექტო განაცხადს განსახილველად უგზავნის კომისიას.

2. თანადაფინანსება გულისხმობს ნაწილობრივ ფინანსურ მხარდაჭერას.

3. თუ მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 25,000 (ოცდახუთი) ლარს, საპროექტო განაცხადის დადებითად შეფასების შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას საპროექტო განაცხადის თანადაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ და წარუდგენს წინადადებას სამსახურის უფროსს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საპროექტო განაცხადის დადებითად შეფასების შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილებას თანადაფინანსების თაობაზე იღებს სამსახურის უფროსი.

5. თუ წარდგენილი საპროექტო განაცხადით მოთხოვნილი თანხა აღემატება 25,000 (ოცდახუთი) ლარს, დადებითი შეფასების შემთხვევაში, კომისია საპროექტო განაცხადის თანადაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ რეკომენდაციით მიმართავს

სამსახურის უფროსს, შემდგომში პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან წარსადგენად.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საპროექტო განაცხადის დადებითად შეფასების შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილებას თანადაფინანსების თაობაზე იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

7. თუ განცხადების შესწავლისას წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი არ აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს, განცხადება კომისიას არ ეგზავნება განსახილველად და განმცხადებელს ეცნობება უარყოფითი პასუხი.

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური, ამ წესის ფარგლებში, პროგრამისთვის „ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი: 04 01) გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, უზრუნველყოფს შესაბამისი პროექტის თანადაფინანსებას სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე.

9. მოთხოვნილი თანხის მოცულობა თითოეული დაინტერესებული პირისათვის შეადგენს არაუმეტეს 50,000 ლარს.

10. დაინტერესებული პირი ვალდებულია თანადაფინანსებაში მიიღოს თანამონაწილეობა. შემდეგი პროპორციით:

ა) 5,000 ლარის ჩათვლით - მოთხოვნილი თანხის 10%

ბ) 5,001 - 20,000 ლარის ჩათვლით - მოთხოვნილი თანხის 15%

გ) 20,001 - 30,000 ლარის ჩათვლით - მოთხოვნილი თანხის 20%

დ) 30,001 - 50,000 ლარის ჩათვლით - მოთხოვნილი თანხის 30%

მუხლი 6. განცხადების შეფასების კრიტერიუმები

საპროექტო განაცხადის განხილვისას, მხედველობაში მიიღება საპროექტო განაცხადის შესაბამისობა პროგრამით გათვალისწინებულ მიმართულებებთან/პრიორიტეტებთან, პროექტის განხორციელების საერთო მიზანშეწონილობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის და სამსახურის მიერ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებთან შესაბამისობა.

მუხლი 7. ხელშეკრულების დადება

1. სამსახურსა და თანადაფინანსების მიმღებ სუბიექტს შორის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების საფუძველია სამსახურის უფროსის/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება.

3. ხელშეკრულების დადების, შეჩერების, შეცვლის და შეწყვეტის წესი რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

4. ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე ან/და ფორსმაჟორულ შემთხვევებში, სამსახურსა და თანადაფინანსების მიმღებ სუბიექტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში

არსებითი პირობების ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით, კომისია რეკომენდაციით მიმართავს სამსახურის უფროსს ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას.

მუხლი 8. კონტროლის განხორციელება და თანხების ხარჯვის შესახებ ანგარიშის წარდგენა

1. ამ წესის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლს ახორციელებს სამსახური, სამსახურის უფროსის მიერ წინასწარ განსაზღვრული მონიტორინგის მექანიზმებით.

2. თანადაფინანსების მიმღები სუბიექტი ვალდებულია, თანადაფინანსების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, სამსახურს წერილობითი სახით წარუდგინოს მიზნობრივი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3. ასევე, თანადაფინანსების მიმღები სუბიექტი ვალდებულია სამსახურს ოფიციალური წერილობითი სახით წარუდგინოს, თანადაფინანსების მიღებიდან 3 (სამი) და 12 (თორმეტი) თვის ანგარიში სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული შესრულების ანგარიშის ფორმის შესაბამისად.

4. ზემოაღნიშნული ანგარიშები წარმოდგენილ უნდა იქნეს სამსახურსა და თანადაფინანსების მიმღებ სუბიექტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

5. საბიუჯეტო ასიგნებებიდან მიღებულ თანხაზე ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისას, იმ თანხის იდენტური ოდენობის თანხას, რომელზედაც არ აქვს წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან შესაბამისი განმარტება, თანადაფინანსების მიმღები სუბიექტი აბრუნებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სამსახურის მიერ მითითებულ ანგარიშზე.

დანართი

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი: 04 01) ფარგლებში მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროექტის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 20-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.
დამტკიცდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი: 04 01) ფარგლებში მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის განხორციელების წესი“, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

დანართი 1

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი: 04 01) ფარგლებში მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროექტის განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პროგრამის „ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი: 04 01) ფარგლებში მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის განხორციელების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი: 04 01) (შემდგომში - პროგრამა) ფარგლებში მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროექტის განხორციელების პირობებს და პროცედურებს.

2. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ ღონისძიებების დაფინანსებაზე, რომლებიც პროგრამის ფარგლებში ტარდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის (შემდგომში - სამსახური) ორგანიზებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ამ წესის შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ფინანსური მხარდაჭერის განსახორციელებლად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი (შემდგომში - მერი) ქმნის პროექტების განმხილველ კომისიას და კომისიის აპარატს (შემდგომში - კომისია, აპარატი).

4. კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება კომისიის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მერი.

მუხლი 2. თანადაფინანსების მიმღები სუბიექტები

ამ წესით განსაზღვრული თანადაფინანსების მიმღები სუბიექტები არიან მოქმედი მეწარმე იურიდიული ან ფიზიკური პირები, რომელთა ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი) და ფუნქციონირების ადგილი არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი.

მუხლი 3. თანადაფინანსების ობიექტი

პროგრამით თანადაფინანსებას ექვემდებარება, როგორც პროდუქციის დასამზადებლად საჭირო აღჭურვილობა/მანქანა-დანადგარები/ტექნოლოგია, ისე პროდუქციის დამუშავებისა და დამატებული ღირებულების შექმნისთვის საჭირო სხვა კატეგორია.

მუხლი 4. საპროექტო განაცხადის წარდგენა

1. თანადაფინანსების მისაღებად დაინტერესებულმა პირმა, წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური

განვითარების საქალაქო სამსახურს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე პროექტის დაწყების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, რომელსაც თან დაურთავს სრულყოფილად შევსებულ საპროექტო განაცხადს. განაცხადს, აგრეთვე უნდა დაურთოს სამსახურის უფროსის მიერ განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტაცია. სხვა შემთხვევაში საპროექტო განაცხადი არ განიხილება.

2. საპროექტო განაცხადის ფორმას და თანდართული დოკუმენტაციის ნუსხას განსაზღვრავს სამსახურის უფროსი.

3. აპარატი ამოწმებს საპროექტო განაცხადის შესაბამისობას დადგენილ ფორმასა და ამ წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. შეუსაბამობის ან დოკუმენტაციის არასრულად წარდგენის შემთხვევაში, აპარატი მიმართავს სამსახურს. დადგენილი ხარვეზის გამოსასწორებლად დაინტერესებულ სუბიექტს სამსახურის მიერ განესაზღვრება არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღე.

4. სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში საპროექტო განაცხადი არ განიხილება.

5. კომისიას/აპარატს ნებისმიერ ეტაპზე უფლება აქვს მოითხოვოს წარმოდგენილი დოკუმენტაციის დაზუსტება და აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება.

6. კომისია უფლებამოსილია განიხილოს დაინტერესებული პირის მიერ ამ მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებში დადგენილი ვადის დარღვევით წარმოდგენილი განცხადება გამონაკლისის სახით იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის საფუძველზე კომისია მიზანშეწონილად ჩათვლის აღნიშნული პროექტის განხილვას.

მუხლი 5. საპროექტო განაცხადის განხილვა და თანადაფინანსება

1. თუ წარდგენილი საპროექტო განაცხადი აკმაყოფილებს ამ წესითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, აპარატი საპროექტო განაცხადს განსახილველად უგზავნის კომისიას.

2. თანადაფინანსება გულისხმობს ნაწილობრივ ფინანსურ მხარდაჭერას.

3. თუ მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 25,000 (ოცდახუთი) ლარს, საპროექტო განაცხადის დადებითად შეფასების შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას საპროექტო განაცხადის თანადაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ და წარუდგენს წინადადებას სამსახურის უფროსს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საპროექტო განაცხადის დადებითად შეფასების შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილებას თანადაფინანსების თაობაზე იღებს სამსახურის უფროსი.

5. თუ წარდგენილი საპროექტო განაცხადით მოთხოვნილი თანხა აღემატება 25,000 (ოცდახუთი) ლარს, დადებითი შეფასების შემთხვევაში, კომისია საპროექტო განაცხადის თანადაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ რეკომენდაციით მიმართავს

სამსახურის უფროსს, შემდგომში პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან წარსადგენად.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საპროექტო განაცხადის დადებითად შეფასების შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილებას თანადაფინანსების თაობაზე იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

7. თუ განცხადების შესწავლისას წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი არ აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს, განცხადება კომისიას არ ეგზავნება განსახილველად და განმცხადებელს ეცნობება უარყოფითი პასუხი.

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური, ამ წესის ფარგლებში, პროგრამისთვის „ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი: 04 01) გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, უზრუნველყოფს შესაბამისი პროექტის თანადაფინანსებას სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე.

9. მოთხოვნილი თანხის მოცულობა თითოეული დაინტერესებული პირისათვის შეადგენს არაუმეტეს 50,000 ლარს.

10. დაინტერესებული პირი ვალდებულია თანადაფინანსებაში მიიღოს თანამონაწილეობა. შემდეგი პროპორციით:

ა) 5,000 ლარის ჩათვლით - მოთხოვნილი თანხის 10%

ბ) 5,001 - 20,000 ლარის ჩათვლით - მოთხოვნილი თანხის 15%

გ) 20,001 - 30,000 ლარის ჩათვლით - მოთხოვნილი თანხის 20%

დ) 30,001 - 50,000 ლარის ჩათვლით - მოთხოვნილი თანხის 30%

მუხლი 6. განცხადების შეფასების კრიტერიუმები

საპროექტო განაცხადის განხილვისას, მხედველობაში მიიღება საპროექტო განაცხადის შესაბამისობა პროგრამით გათვალისწინებულ მიმართულებებთან/პრიორიტეტებთან, პროექტის განხორციელების საერთო მიზანშეწონილობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის და სამსახურის მიერ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებთან შესაბამისობა.

მუხლი 7. ხელშეკრულების დადება

1. სამსახურსა და თანადაფინანსების მიმღებ სუბიექტს შორის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების საფუძველია სამსახურის უფროსის/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება.

3. ხელშეკრულების დადების, შეჩერების, შეცვლის და შეწყვეტის წესი რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

4. ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე ან/და ფორსმაჟორულ შემთხვევებში, სამსახურსა და თანადაფინანსების მიმღებ სუბიექტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში

არსებითი პირობების ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით, კომისია რეკომენდაციით მიმართავს სამსახურის უფროსს ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას.

მუხლი 8. კონტროლის განხორციელება და თანხების ხარჯვის შესახებ ანგარიშის წარდგენა

1. ამ წესის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლს ახორციელებს სამსახური, სამსახურის უფროსის მიერ წინასწარ განსაზღვრული მონიტორინგის მექანიზმებით.

2. თანადაფინანსების მიმღები სუბიექტი ვალდებულია, თანადაფინანსების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, სამსახურს წერილობითი სახით წარუდგინოს მიზნობრივი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3. ასევე, თანადაფინანსების მიმღები სუბიექტი ვალდებულია სამსახურს ოფიციალური წერილობითი სახით წარუდგინოს, თანადაფინანსების მიღებიდან 3 (სამი) და 12 (თორმეტი) თვის ანგარიში სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული შესრულების ანგარიშის ფორმის შესაბამისად.

4. ზემოაღნიშნული ანგარიშები წარმოდგენილ უნდა იქნეს სამსახურსა და თანადაფინანსების მიმღებ სუბიექტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

5. საბიუჯეტო ასიგნებებიდან მიღებულ თანხაზე ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისას, იმ თანხის იდენტური ოდენობის თანხას, რომელზედაც არ აქვს წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან შესაბამისი განმარტება, თანადაფინანსების მიმღები სუბიექტი აბრუნებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სამსახურის მიერ მითითებულ ანგარიშზე.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პროგრამის „ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი: 04 01) ფარგლებში მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროექტის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტის
განმარტებითი ბარათი

ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი:

ქალაქ თბილისის მუწიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პროგრამის „ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი: 04 01) ფარგლებში ინიცირებული მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროექტის შექმნის საფუძველი განპირობებულია იმ ეკონომიკური ბარიერების არსებობით, რაც არსებული ბიზნესის განვითარებისთვის ხელისშემშლელ გარემო ფაქტორებთან არის დაკავშირებული, მათ შორის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის სიმცირე. ასევე, ადგილობრივი საწარმოების კონკურენტუნარიანობის დაბალი ხარისხი და თვითდასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები. ინიციატივა ასევე უკავშირდება იმ სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევების დაძლევას, როგორიცაა ახალგაზრდების, ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვის დაბალი მაჩვენებლები.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების (გამოცემის) მიზანი:

აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს მეწარმეობის ეკოსისტემის გაძლიერებას და სისტემური განვითარების ხელშეწყობას. იგი ითვალისწინებს წარმოებისა და ინოვაციების განვითარების სტიმულირებას, მეწარმე სუბიექტების წახალისებას, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციას, მცირე და საშუალო საწარმოების გაფართოების ხელშეწყობას, ასევე მათი კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდას.

ინიციატივა მნიშვნელოვანი ნაბიჯია დედაქალაქის ეკონომიკური განვითარების მიმართულებით, ვინაიდან იგი არა მხოლოდ დაფინანსების მიწოდებას ისახავს მიზნად, არამედ ეკონომიკური გარემოს სტრუქტურულ გაუმჯობესებას, ინოვაციური პოტენციალის ამაღლებას და მეწარმეობრივი საქმიანობისთვის ხელსაყრელი პირობების ჩამოყალიბებას. საბოლოოდ, აღნიშნული განიხილება, როგორც ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც მიმართულია მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

პროექტი გულისხმობს იმ მეწარმე სუბიექტებისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნას, რომელთაც მანამდე არ ჰქონდათ საკმარისი ფინანსური რესურსი საკუთარი ბიზნესის განვითარებისათვის. დაფინანსება საშუალებას მისცემს მათ მოიპოვონ საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა, გააუმჯობესონ წარმოების პროცესები, გაზარდონ დასაქმებულთა რაოდენობა და

მომხმარებლებს მიაწოდონ უფრო ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროდუქტი. აღნიშნული ფინანსური მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ბიზნესებისთვის, რომლებთაც განვითარებისთვის დამატებითი ბიძგი ესაჭიროებათ.

მუნიციპალიტეტის მხრიდან გაწეული მხარდაჭერა, არსებითად შეუწყობს ხელს ინოვაციური პროცესების გაძლიერებას მცირე და საშუალო საწარმოთა დონეზე. აღნიშნულ ბიზნეს სუბიექტებს მიეცემათ შესაძლებლობა იმუშაონ ახალი იდეებისა და პროდუქტების განვითარებაზე, დანერგონ თანამედროვე ტექნოლოგიები და გააუმჯობესონ საკუთარი საწარმოო მოდელები. შედეგად, შესაძლებელი გახდება ისეთი პროდუქციის შექმნა, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. ადგილობრივი წარმოება არა მხოლოდ ხარისხობრივი გაუმჯობესების გზით განვითარდება, არამედ შეიძენს შინაარსობრივ მრავალფეროვნებას, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად გაზრდის დედაქალაქში წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნასა და მის ბაზარზე პოზიციონირების შესაძლებლობებს.

აღნიშნული პროექტის განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერება ქმნის საფუძველს სისტემური ეკონომიკური ცვლილებებისთვის. ეს ცვლილებები საგრძნობლად აისახება როგორც ფისკალურ პოლიტიკაზე, ასევე შრომის ბაზრის დინამიკაზე. კერძოდ, მოსალოდნელია ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა, უმუშევრობის მაჩვენებლის კლება და დასაქმების შესაძლებლობების გაფართოება და დივერსიფიკაცია, რაც მთლიანობაში ხელს შეუწყობს ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას.

გარდა ეკონომიკური და ურბანული სარგებლისა, პროგრამას მნიშვნელოვანი სოციალური კომპონენტიც ახასიათებს. ის უზრუნველყოფს მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკურ გააქტიურებას. ამგვარი ჩართულობა არა მხოლოდ მათ ეკონომიკურ გაძლიერებას ემსახურება, არამედ წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს სოციალური თანასწორობის ხელშეწყობისა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიმართულებით.

რაც შეეხება პროექტის შესაძლო შედეგებს, მათი განხილვა მიზანშეწონილია, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი განვითარების ჭრილში. მოკლევადიან პერიოდში, მოსალოდნელია მეწარმეობრივი აქტივობის ზრდა, რაც გამოიხატება არსებული საწარმოების გაფართოებაში. აღნიშნული ტენდენცია ხელს შეუწყობს შრომითი ბაზრის გააქტიურებას, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს როგორც დასაქმების დონეს ზრდას, ისე ადგილობრივი პროდუქციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი გაუმჯობესებას. შედეგად, ეკონომიკური დინამიკის გაძლიერება პირდაპირ აისახება თბილისის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

გრძელვადიან ჭრილში, თბილისს შესაძლებლობა მიეცემა გადაიქცეს რეგიონული მნიშვნელობის მეწარმეობისა და ინოვაციების ჰაბად. ადგილობრივი კომპანიების ბრენდირება და მათი ინტეგრაცია გლობალურ ბაზრებზე ხელს შეუწყობს საექსპორტო პოტენციალის ზრდას, რაც მნიშვნელოვნად გააღრმავებს ქვეყნის ეკონომიკურ ჩართულობას საერთაშორისო სავაჭრო

სივრცეში. შედეგად, მეწარმეობა შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი სტრატეგიული და მდგრადი საყრდენი.

აღნიშნული ინიციატივა არ წარმოადგენს მხოლოდ ერთჯერად ფინანსურ მხარდაჭერას მცირე და საშუალო ბიზნესისათვის – იგი აღიქმება როგორც სტრატეგიული ინვესტიცია ქალაქის გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ეს არის ინვესტიცია ადამიანურ კაპიტალში, ინოვაციურ პოტენციალში და იმ ურბანულ სივრცეში, რომელსაც გააჩნია რესურსი არა მხოლოდ მდგრადი ფუნქციონირებისთვის, არამედ პროგრესისთვის, სისტემური განვითარებისთვის და სხვათა მიერ მისაბაძ მოდელად ჩამოყალიბებისთვის.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების (გამოცემის) ძირითადი არსი:

წესის მე-2 მუხლით განისაზღვრება თანადაფინანსების მიმღები სუბიექტები, კერძოდ მოქმედი მეწარმე იურიდიული ან ფიზიკური პირები, რომელთა ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი) და ფუნქციონირების ადგილი არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, ხოლო წესის მე-3 მუხლით თანადაფინანსების ობიექტი, რაც გულისხმობს, რომ პროგრამით გათვალისწინებულია, როგორც პროდუქციის დასამზადებლად საჭირო მანქანა-დანადგარების, ისე დამატებითი ღირებულების მზა პროდუქტების შექმნის თანადაფინანსება (საწარმოო აღჭურვილობა/დანადგარები, ტექნოლოგია).

წესის მე-4 მუხლის მიხედვით, ინფორმაცია პროექტის დაწყების თარიღის შესახებ, განთავსდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე. თანადაფინანსების მისაღებად დაინტერესებულმა პირმა, აღნიშნული თარიღიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა, წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურს (შემდგომში - სამსახური), რომელსაც თან დაურთავს სრულყოფილად შევსებული საპროექტო განაცხადი. განაცხადს, აგრეთვე უნდა დაურთოს სამსახურის მიერ განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტაცია. სხვა შემთხვევაში საპროექტო განაცხადი არ განიხილება. ამ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, აპარატი ამოწმებს საპროექტო განაცხადის შესაბამისობას დადგენილ ფორმასა და ამ წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. შეუსაბამობის ან დოკუმენტაციის არასრულად წარდგენის შემთხვევაში, აპარატი მიმართავს სამსახურს. დადგენილი ხარვეზის გამოსასწორებლად დაინტერესებულ სუბიექტს სამსახურის მიერ განესაზღვრება არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღე, რომლის დარღვევის შემთხვევაშიც, განაცხადი არ განიხილება. ამასთანავე, კომისია უფლებამოსილია განიხილოს დაინტერესებული პირის მიერ ამ მუხლის 1-ელ და მე-3 პუნქტში დადგენილი ვადის დარღვევით წარმოდგენილი განცხადება გამონაკლისის სახით იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის საფუძველზე კომისია მიზანშეწონილად ჩათვლის აღნიშნული პროექტის განხილვას. კომისიას/აპარატს ნებისმიერ ეტაპზე უფლება აქვს მოითხოვოს წარმოდგენილი დოკუმენტაციის დაზუსტება და აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება.

წესის მე-5 მუხლით განისაზღვება საპროექტი განაცხადის განხილვისა და თანადაფინანსების პროცესი. თუ საპროექტო განაცხადი დააკმაყოფილებს ამ წესითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, აპარატი საპროექტო განაცხადს განსახილველად გაუგზავნის კომისიას.

თუ მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 25,000 (ოცდახუთი) ლარს, საპროექტო განაცხადის დადებითად შეფასების შემთხვევაში, კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას საპროექტო განაცხადის თანადაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ და წარუდგენს წინადადებას სამსახურის უფროსს. საბოლოო გადაწყვეტილებას თანადაფინანსების თაობაზე მიიღებს სამსახურის უფროსი. ხოლო, თუ მოთხოვნილი თანხა აღემატება 25,000 (ოცდახუთი) ლარს, დადებითი შეფასების შემთხვევაში, კომისია საპროექტო განაცხადის თანადაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ რეკომენდაციით მიმართავს სამსახურის უფროსს, შემდგომში პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან წარსადგენად. საბოლოო გადაწყვეტილებას თანადაფინანსების თაობაზე მიიღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური, ამ წესის ფარგლებში, პროგრამისთვის „ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი: 04 01) გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, უზრუნველყოფს შესაბამისი პროექტის თანადაფინანსებას სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე.

ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თუ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი არ დააკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს, კომისიას განცხადება არ გაეგზავნება განსახილველად და განმცხადებელს ეცნობება უარყოფითი პასუხი.

ხოლო მე-10 პუნქტით განისაზღვრება თანადაფინანსების მიმღების თანამონაწილეობა:

- 5,000 ლარის ჩათვლით - მოთხოვნილი თანხის 10%
- 5,001 - 20,000 ლარის ჩათვლით - მოთხოვნილი თანხის 15%
- 20,001 - 30,000 ლარის ჩათვლით - მოთხოვნილი თანხის 20%
- 30,001 - 50,000 ლარის ჩათვლით - მოთხოვნილი თანხის 30%

მოთხოვნილი თანხის მოცულობა თითოეული ბენეფიციარისთვის შეადგენს არაუმეტეს 50,000 ლარს.

წესის მე-6 მუხლში განისაზღვრება განცხადების შეფასების კრიტერიუმები საპროექტო განაცხადის განხილვისას, მხედველობაში მიიღება საპროექტო განაცხადის შესაბამისობა პროგრამით გათვალისწინებულ მიმართულებებთან/პრიორიტეტებთან, პროექტის განხორციელების საერთო მიზანშეწონილობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის და სამსახურის მიერ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებთან შესაბამისობა.

წესის მე-7 მუხლის თანახმად, სამსახურსა და თანადაფინანსების მიმღებ სუბიექტს შორის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგდება მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, რომლის საფუძველი იქნება სამსახურის უფროსის/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება. ხელშეკრულების დადების, შეჩერების, შეცვლის და შეწყვეტის წესი დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ხოლო ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე ან/და ფორსმაჟორულ შემთხვევებში, სამსახურსა და თანადაფინანსების მიმღებ სუბიექტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში არსებითი პირობების ცვლილება განხორციელდება, კომისია რეკომენდაციით მიმართავს სამსახურის უფროსს ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას.

წესის მე-8 მუხლით განისაზღვრება კონტროლის განხორციელება და თანხების ხარჯვის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესი. წესის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლს განახორციელებს სამსახური, სამსახურის მიერ წინასწარ განსაზღვრული მონიტორინგის მექანიზმებით. თანადაფინანსების მიმღები სუბიექტი ვალდებულია, თანადაფინანსების ობიექტის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, თანადაფინანსების გამცემ სამსახურს წერილობითი სახით წარუდგინოს მიზნობრივი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე, თანადაფინანსების მიმღები სუბიექტი ვალდებულია თანადაფინანსების გამცემ სამსახურს ოფიციალური წერილობითი სახით წარუდგინოს, თანადაფინანსების ობიექტის მიღებიდან 3 (სამი) და 12 (თორმეტი) თვის ანგარიში სამსახურის მიერ დამტკიცებული შესრულების ანგარიშის ფორმის შესაბამისად. ანგარიშები წარმოდგენილ უნდა იქნეს თანადაფინანსების გამცემ სამსახურსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

საბიუჯეტო ასიგნებებიდან მიღებულ თანხაზე ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისას, იმ თანხის იდენტური ოდენობის თანხას, რომელზედაც არ აქვს წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან შესაბამისი განმარტება, თანადაფინანსების მიმღები სუბიექტი აბრუნებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სამსახურის მიერ მითითებულ ანგარიშზე.

ბ) პროექტის მიღებასთან დაკავშირებული საფინანსო - ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური.

დ) პროექტის წარმდგენი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.